



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა

შსკავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

4.21.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) (ინგლისურენოვანი) Business Administration (Finance, Marketing, Management, Accounting) (delivered in English)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413 Master of Business Administration
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხოზია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კომპანია იმედი L, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შესაფასებლად წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413) 120 ECTS კრედიტს მოიცავს. სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. ერთი აკადემიური წელი მოიცავს სამ სემესტრს. პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 90 ECTS სასწავლო კომპონენტს, აქედან 65 ECTS გათვალისწინებულია სავალდებულო კრედიტებისათვის, ხოლო 25 ECTS არჩევითი მოდულის 5 სასწავლო კურსისათვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის მიმართულებები, შესაბამისი სასწავლო კურსებით. პროგრამაში კვლევითი კომპონენტად გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 ECTS მოცულობით.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია პირველად, თუმცა უსდ-ში ფუნქციონირებს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა. ამიტომ აკრედიტაციის ექსპერტებმა მხედველობაში მიიღეს ქართულენოვან პროგრამაში და ზოგადად უსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირების შედეგებიც.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განხორციელდა დისტანციურად, 2021 წლის 6-7 აპრილს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 2.1, 2.5, 4.2, 4.3, 4.4, , 5.2, 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.6, 3.1, 4.1, 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

▪ **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში.
2. რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, ასევე, გათვალისწინებულ იქნას დამხმარე წყაროები.
4. რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები.
5. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი.
7. რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.
8. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება;
9. რეკომენდირებულია უფრო მეტად გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული გარკვეული ხარვეზების გამოსწორების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი მექანიზმის გაძლიერება.

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას 30 (ECTS) კრედიტიანი კვლევის შესრულებისთვის და ნაშრომის/პროექტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ადეკვატური დროითი პერიოდი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ფოკუსირებულია ხუთი საკვანძო მიზნის მიღწევაზე: 1. მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტის მიერ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისკენ და სტუდენტის არჩევანის გაკეთების შესაბამისად, მისცეს ღრმა ცოდნა ერთ-ერთ სპეციალობაში (ფინანსები, მარკეტინგი ან მენეჯმენტი); 2. განუვითაროს საშუალო და მაღალი რგოლის (ფინანსური მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, პიარ მენეჯერი, კადრების მართვის მენეჯერი, დირექტორი და ა.შ.) მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს კომპანიებში ლიდერული პოზიციისა და ფუნქციების შესრულებისათვის; 3. მოტივაცია გაუჩინოს ანტრეპრენორული და ინოვაციური წამოწყებებისაკენ; 4. ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას მიცემული ცოდნისა და განვითარებული უნარების საფუძველზე; 5. გაუღრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და ჰუმანური ფასეულობები; განუმტკიცოს სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ქცევის მიდგომები. პროგრამის კურსდამთავრებულებს სწავლის შედეგების გათვალისწინებით საშუალება ექნებათ დასაქმდნენ როგორც კერძო სექტორის, ასევე, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. მთლიანობაში, მიზნები ჩამოყალიბებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახავს იმ საკვანძო მიმართულებებს, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სპეციალისტების მომზადებისათვის. უნდა აღინიშნინოს, რომ პროგრამის მიზნები ჰარმონიზებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიასთან და ხედვასთან. ვინაიდან, პროგრამა არის ინგლისურენოვანი, შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს მნიშვნელოვანი რესურსი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. პროგრამის ქართულენოვანი ვარიანტი საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);

<ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები; ○ საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და ხედვა; ○ საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი – https://www.cu.edu.ge/ka
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○
შეფასება <p style="text-align: center;">■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. <p>შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) მთლიანობაში უზრუნველყოფს რვა სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგებში არის აღწერილი ცოდნის, უნარების, ავტონომიურობის ან/და პასუხისმგებლობის კონტექსტში ის შედეგები რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. კერძოდ, კუმრსდამთავრებულს შეუძლია მართოს კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების ფუნქციური მიმართულებები, ფინანსების,</p>
--

მარკეტინგის, ოპერაციული და სტრატეგიული მენეჯმენტის კუთხით. ასევე, კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის მართვის თეორიების და პრინციპების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა. სწავლის შედეგებში ასახულია დამოუკიდებლად მუშაობის და კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული შედეგები. გარდა ამისა, კურსდამთავრებული ახდენს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციის, კვლევის მეთოდებსა და შედეგებზე კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე. სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ფასეულობებთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

მთლიანობაში სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებით განსაზღვრულ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მომზადებას, რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმისა, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა წარმოდგენილია სამი კონცენტრაციული მიმართულებით: ფინანსები, მარკეტინგი და მენეჯმენტი, რომელსაც სტუდენტი ირჩევს მეოთხე სემესტრში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგიას და პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართების, მათი მიღწევის შეფასების ასპექტებს. ასევე, პროგრამაში წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, პროგრამის საათობრივი გაანგარიშება, მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დასტურდება პროცესებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციის მიხედვით სწავლის შედეგების ფორმულირება და მისი ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შეუძლია ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრულია დამატებითი ფილტრები, როგორცაა, მაგისტრანტობის კანდიდატის ორ წლიანი სამუშაო გამოცდილება და კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო მიმღებ კომისიასთან სპეციალობაში გასაუბრების წარმატებით გავლა. პროგრამაში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით. მთლიანობაში პროგრამით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები რელევენტურია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამისათვის, რომელიც ფაქტობრივად უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელ ცოდნას და უნარებს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული იმ კომპონენტებთან რომელიც წარმოდგენილია პროგრამის ძირითად ბადეში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში;
 - საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);
 - ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

შპს კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი. რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-შემუშავების და აკრედიტაციაზე წარდგენის, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, ხელახალი აკრედიტაციის, პროგრამის შეცვლა/გაუქმების, მონიტორინგის და პერიოდული შეფასების საკითხები. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მისი მოცულობა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. ერთი აკადემიური წელი მოიცავს სამ სემესტრს. პროგრამა მთლიანობაში მოიცავს 90 ECTS სასწავლო კომპონენტს, აქედან 65 ECTS გათვალისწინებულია სავალდებულო კრედიტებისათვის, ხოლო 25 ECTS არჩევითი მოდულის 5 სასწავლო კურსისათვის. სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის მიმართულებები, შესაბამისი სასწავლო კურსებით. პროგრამაში კვლევითი კომპონენტად გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 ECTS მოცულობით. როგორც აღინიშნა, პროგრამაში არჩევითი კონცენტრაციების კრედიტების საერთო მოცულობა შეადგენს 25 ECTS. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით (მუხლი 6) კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი და უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა ითვალისწინებდეს – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით. მთლიანობაში პროგრამაზე გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობა, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციის მიუხედავად, პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური, სამეცნიერო,

მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ინტერვიუს შედეგად დასტურდება მათი მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინოს კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. პროგრამაში წარმოდგენილია ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო კურსები, ასევე, კონცენტრაციებში გათვალისწინებულია ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის მიმართულების სასწავლო კურსები. პროგრამაში სასწავლო კურსები 5 კრედიტიანია, შეიძლება ითქვას რომ არსებული დატვირთვის პირობებში სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არის მიღწევადი. სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რაც დასტუდება ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსის შესაბამის სილაბუსებში მითითებულია მოძველებული ლიტერატურა (მაგალითად, ფინანსური აღრიცხვა ფინანსური გადაწყვეტილებისათვის, ლიდერობა, ბიზნესის მოდელირება და ა.შ.). შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევის მიზნით განახლდეს კონკრეტულ სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა. გარდა, ამისა სილაბუსების გარკვეულ ნაწილში არ არის მითითებული ლიტერატურის წელი (ინოვაციების მართვა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ა.შ.). ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო კურსებში მიეთითოს შესაბამისი დამხმარე ლიტერატურა. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა პროგრამაში სასწავლო კურსების დუბლირება (მაგალითად, ლიდერობა), ზოგიერთი სასწავლო კურსი (მაგალითად, სტრატეგიული მენეჯმენტი, საგადასახადო საქმე, გლობალური პორტფელის მენეჯმენტი და ა.შ.) ისწავლება იდენტური ძირითადი ლიტერატურით. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კონკრეტული კურსებისათვის უნდა შეირჩეს მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადეკვატური სახელმძღვანელოები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, ასევე, გათვალისწინებულ იქნას დამხმარე წყაროები. • რეკომენდებულია გაიმიჯნოს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურა. შესაბამისად, შერჩეულ იქნას მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის შესაბამისი სახელმძღვანელოები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.</p> <p>პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის შერეული მოდელი, რაც გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკულ დავალებებს, რომელთა შესრულების დროს სტუდენტს უვითარდება დარგობრივი პრაქტიკული უნარები, კერძოდ, სასწავლო</p>

კურსების ნაწილი მოიცავს პრაქტიკული ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტის მომზადებას და პრეზენტაციას, რომლის მომზადებაც სტუდენტს უვითარებს რეალურ ბიზნეს გარემოში მარტივად ადაპტაციისა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარებს.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. აღსანიშნავია, რომ თუ სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით, მას მოეთხოვებათ გამოიკვლიონ თავიანთ სპეციალობაში არსებული თეორიული საკითხები ან სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული „ცოდნითი სიცარიელები“, თემა კი უნდა იყოს ბიზნეს თემატიკაზე ორიენტირებული და თანხვედრაში შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მიზნებთან. ასევე აღნიშნული წესის მიხედვით, თუ სტუდენტი ირჩევს პროექტის მომზადებას ის უნდა იყოს დასაქმებული და კვლევითი საკითხი შეეხებოდეს მის კომპანიაში არსებულ პროექტს, შესაძლებლობას ან პრობლემას. ასეთი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების დროს სტუდენტმა უნდა აჩვენოს კვლევის ჩატარების ყველა უნარ-ჩვევა, გამოიყენოს საერთაშორისო ლიტერატურაში არსებული ინფორმაცია და კვლევის შედეგები ბიზნესის შესაბამისი საკითხის გადასაჭრელად. აღნიშნულ პროცესში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი არის პროგრამაში არსებული კონცენტრაციები ნაწილი, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის ანოტაციაში ვკითხულობთ: „ნაშრომი უნდა ასახავდეს აკადემიური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ მიღებულ ცოდნას და ის უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ბიზნესის სფეროს საკითხს მისი ინტერესის მიხედვით, ან ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს“. შესაბამისად, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში მკვეთრად აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში, რათა ნაშრომის შედეგად მიღებული კრედიტები ჩაითვალოს კონცენტრაციის კრედიტების ნაწილად.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის (30ECTS) მომზადება და დაცვა გათვალისწინებულია მე-6 სემესტრში, რაც მოიცავს 12 კვირას, თუმცა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პერიოდი არ არის საკმარისი 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მომზადებისთვის, ამასთან ბიზნესის სკოლის სამაგისტრო დებულების მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს და დაიცვას რეგისტრაციიდან 3 (სამი) სემესტრის განმავლობაში, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტი პროგრამას ვერ დაასრულებს 2 აკადემიურ წელში და მას შესაძლოა დაემატოს სემესტრი, აღნიშნული ქმნის გარკვეულწილად არათანაბარ გარემოს და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული აისახება ნაშრომების/პროექტების ხარისხზეც, ბუნებრივია, 12 კვირაში შესრულებული 30 კრედიტიანი ნაშრომი/პროექტი განსხავებული იქნება 36 კვირაში შესრულებული

<p>ნაშრომი/პროექტისგან, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს 30 (ECTS) კრედიტიანი კვლევის შესრულებისთვის და ნაშრომის/პროექტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ადეკვატური დროითი პერიოდი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულება (დამტკიცებულა უნივერსიტეტის პრეზიდენტის N01/01-89 (25.12.2020) ბრძანებით); ○ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ბიზნესის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სახელმძღვანელო (დაწერის, წარდგენის, დაცვის და შეფასების წესი); ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და სამაგისტრო პროგრამაში აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს შესაბამისი კონცენტრაციის (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროში;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისთვის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას 30 (ECTS) კრედიტიანი კვლევის შესრულებისთვის და ნაშრომის/პროექტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის ადეკვატური დროითი პერიოდი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p>

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამაში გამოიყენება პროგრამის პროფილის შესაბამისი სწავლება/სწავლის მეთოდები ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი); ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; <p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპონენტები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია, როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი სახის შეფასებები. სასწავლო კურსის სილაბუსებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სასწავლო კურსებში შეფასების ქულათა ჯამი და აქტივობის შესახებ დეტალიზებული ჩაშლა ქულების გრადაციის მიხედვით არ არის დაკონკრეტებული (მარკეტინგ მენეჯმენტი, ფინანსური დაგეგმარება და ბიუჯეტირება და ა.შ). ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დასაზუსტებელია ქულების ჯამი და შესაბამისი კრიტერიუმები. აღნიშნული პროცესში დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სასწავლო კურსების სპეციფიკა და მიზანი. სილაბუსების კონტექსტში საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული გარკვეული ხარვეზების გამოსწორების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი მექანიზმის გაძლიერება. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ პროგრამაში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული გარკვეული ხარვეზების გამოსწორების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდამჭერი მექანიზმის გაძლიერება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აქტიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის პროცესში. აგრეთვე, უნივერსიტეტის სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების სამსახური აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, უნივერსიტეტის მხრიდან კი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინანსური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

კავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა და ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციამ აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროექტებში და ასევე ERASMUS+ ისა და უნივერსიტეტის გაცვლითი სტიპენდიებით ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით.

უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში.

სტუდენტებისთვის დაწესებულია სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასა და კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ აქტივობებზე. ამასთან, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება სხვადასხვა სოციალური თუ შემეცნებითი პროექტის განსახორციელებლად.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: ა. უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; ბ. საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; გ. პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტი. ამასთან, **რეკომენდებულია**, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, აღნიშნულის შესაძლებლობა არ ფიქსირდება ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით, მაგისტრანტი საკუთარი სურვილით ირჩევს თემას და თემის შესაბამისად

ხელმძღვანელს. ამასთან, დებულების მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, კვლევის გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის შერჩევაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის საბოლოო ნაშრომის ჩაბარება-წარდგინების დროს ხელმძღვანელი წარადგენს წერილობით დასკვნას. დასკვნა უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელის რეკომენდაციას სტუდენტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, მაგისტრანტი დაცვაზე არ დაიშვება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბიზნესის სკოლას შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო (დაწერის, წარდგენის, დაცვის და შეფასების წესი), რაც **სასურველია**, რომ პროგრამის განხორციელებამდე ითარგმნოს ინგლისურ ენაზე. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულება (დამტკიცებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის N01/01-89 (25.12.2020) ბრძანებით);
- ბიზნესის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო (დაწერის, წარდგენის, დაცვის და შეფასების წესი);
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
•
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული
--

პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 12 აკადემიური და 19 მოწვეული პერსონალი. როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია წარმოდგენილია ბოლო 5 წლის განმავლობაში 12 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი არის 26, რაც მაგისტრატურის საფეხურის აკადემიური პერსონალისთვის საკმაოდ დაბალია. აკადემიური პერსონალის რეზიუმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ნაკლებად აქცევს ყურადღებას სამეცნიერო საქმიანობას. აღნიშნული მოსაზრება ასახულია კიდევ უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის გასაუმჯობესებელ მხარეებშიც.. აღსანიშნავია, რომ მოწვეულ პერსონალს აქვს დარგის შესაბამისი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების სტიმულირების მიზნით. აქედან გამომდინარე შეიცვალა მათთან სახელშეკრულებო პირობებიც.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი, რის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მრავალწლიანი აკადემიური საქმიანობის გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის თანახმად ხელმძღვანელი არის ამავდროულად ბიზნესის სკოლის დეკანი და მასაც აქვს აკადემიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში ისიც აქტიურად არის ჩართული და მხარს უჭერს პროგრამის ხელმძღვანელს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტებს მოემსახურებიან ადმინისტრაციული მენეჯერები. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პროგრამის ქართული სექტორის სტუდენტებმაც დაადასტურეს რომ უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის განხორციელებისას ადამინისტრაციული კუთხით შეფერხები არ აღინიშნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერება;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>უსდ-ს ადმინისტრაცია სემესტრულად აწარმოებს სტუნდენტების გამოკითხვას, სადაც ისინი აფასებენ თავიანთ ლექტორებს. პროგრამის აკადემიური მენეჯერი აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ უკვე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხდება ჯამური შედეგების გაზიარება. სტუნდენტებმა ინტერვიუს დროს გაიხსენეს შემთხვევები, როცა მათი მოსაზრებები გაუთვალისწინებია უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.</p> <p>ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ პერსონალის შესაფასებლად უსდ იყენებს ლექციებზე კოლეგიალურ დასწრებასა და შესაბამისი უკუკავშირის გაზიარებას ლექტორებთან.</p> <p>უსდ ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე. სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს სწავლების</p>

<p>უნარების განვითარების, დისტანციური სწავლების განხორციელების, პლაგიატის აღმოჩენის თუ სამეცნიერო ჟურნალში სტატიების გამოქვეყნების შესახებ.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ უსდ-ს მხარდაჭერით ხორციელდება ქართული კომპანიების გამოცდილებაზე დაფუძნებული ბიზნეს ქეისების მომზადება, რომელიც ხორციელდება აკადემიური პერსონალის მხარდაჭერით.</p> <p>უსდ-ს ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მათ შეიმუშავეს პერსონალთან ხელშეკრულების რამდენიმე ტიპი, რომლის მიზანიც არის მათი სამეცნიერო საქმიანობის წახალისება და მხარდაჭერა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური

აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაგვიზიარა ლინკი, საიდანაც ონლაინ დავათვალიერეთ უნივერსიტეტის შენობა, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საერთო სამუშაო სივრცეები. ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომები საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პერიოდულ ბიზნეს გამოცემებს იღებდა ბიბლიოთეკა პანდემიამდე და ახლაც არ ხდებდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალური სასწავლო რესურსების დათვალიერება
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილია პროგრამის დაფინანსების წყაროები და პროგრამის განხორციელების ხარჯები. რექტორთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების საქართველოში სასწავლებლად მოზიდვა უნივერსიტეტის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა და საჭიროების შემთხვევაში უსდ ამ პროგრამას სარეზერვო ფონდიდანაც დააფინანსებს. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტს შერჩეული ყავს სტრატეგიული პარტნიორები და მათ შორის თანამშრომლობს უცხოეთის ბაზარზე მოქმედ სააგენტოებთანაც, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროგრამისთვის სტუდენტების მოზიდვას და ეს აქტივობა უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ვინაიდან პროგრამა ძირითადად ფოკუსირებულია უცხოელ სტუდენტებზე, მისი ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით უმჯობესია პროგრამის ბიუჯეტში ასახული იყოს სტუდენტების მოზიდვასთან დაკავშირებული მარკეტინგული აქტივობებისა თუ სააგენტოს მომსახურების ხარჯები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უსდ-ს ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები ○ პროგრამის ბიუჯეტი
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია პირველად, თუმცა უსდ-ში ფუნქციონირებს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულ ენოვანი სამაგისტრო პროგრამა. ამიტომ აკრედიტაციის ექსპერტებმა მხედველობაში მიიღეს ქართულენოვან პროგრამაში და ზოგადად უსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირების შედეგებიც.

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც შემუშავებულია და ხორციელდება "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლის საფუძველზე. სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის ხარისხის მდგრადი განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ითვალისწინებს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსების, პროცესისა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს, რომლის შეფასება, ხორციელდება თანმიმდევრულად შესაბამისი სასწავლო ციკლის საფუძველზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებულია სამი მიმართულებით, როგორცაა ა) სწავლა-სწავლება, ბ) კვლევა და გ) მართვა/მენეჯმენტი. აკრედიტაციის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი; კავკასიის უნივერსიტეტის დებულება; შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი; პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური (2019-2020 სწ.) ანგარიში ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2020; დამსაქმებელთა კვლევა 2020; პერსონალის შეფასება 2020; პერსონალის შეფასება და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2019; პერსონალის შეფასების და კმაყოფილების შედეგების ანალიზი 2019; სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა 2020; რომელთა საფუძველზე დასტურდება, რომ კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის შეფასების გამართული მექანიზმები.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო გუნდში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი და მათ გადანაწილებული ქონდათ შესაბამისი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. შესაბამისად, ანგარიშის მომზადების პროცესში გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლის დახვეწასა და განვითარებაზეც პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გამოხატავს სრულ მზაობას.

ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა, პროგრამის აკადემიურმა თუ მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურეს, რომ მუდმივად ჩართულები არიან სხვადასხვა ხარისხის გაუმჯობესების აქტივობებში. ავსებენ სხვადასხვა ურთიერთშეფასების კითხვებს და შედეგებს იყენებენ საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

თუმცა, პროგრამის მასალებში გამოვლენილი ხარვეზები, როგორცაა სილაბუსებში ლიტერატურის წლების არ მითითება, მოძველებული ლიტერატურა, სწავლის შედეგების ფორმულირება და პროგრამის კლასიფიკატორთან შესაბამისობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააძლიეროს თანამშრომლობა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიური პერსონალთან მსგავსი ხარვეზების აღრმოფხვრის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისური ენოვანი სამაგისტრო პროგრამა
- ბენჩმარკინგი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური (2019-2020 სწ.) ანგარიში;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2020;
- დამსაქმებელთა კვლევა 2020;
- პერსონალის შეფასება 2020;
- პერსონალის შეფასება და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2019;
- პერსონალის შეფასების და კმაყოფილების შედეგების ანალიზი- 2019;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა 2020.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია პირველად, შესაბამისად პროგრამა შემუშავებისთანავე შეტანილი იქნა აკრედიტაციისთვის და გარე შეფასებისთვის გადაეგზავნათ Leeds-ის უნივერსიტეტის პროფესორი, დეკანის მოადგილე ედგა მეიერი. და გრენოზლის ასოცირებული დეკანი, საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების დირექტორი მარკ ტომასი და MBA პროგრამების დირექტორი ფილ იერი. გარე შეფასების ექსპერტები ზოგადად დადებითად აფასებენ პროგრამას.</p> <p>ძირითადად გარე შეფასების რეკომენდაციები უსდ-მ მიიღო პროგრამის აკრედიტაციაზე შემოტანის შემდგომ. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და უსდ-ს ადმინისტრაცია მზად არიან, გარე შეფასების ყველა მნიშვნელოვანი რჩევა და რეკომენდაცია გაითვალისწინონ. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უსდ-ს აქვს შესაბამისი პროცედურები გარე ხარისხის შეფასებისთვის და მას იყენებენ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისას, მონიტორინგი, დაკვირვება და უკუკავშირის მიღება ხდება პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარისგან. უსდ-ს ხარისხის დეპარტამენტი აანალიზებს სტუდენტების სწავლის შედეგებს, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს და ადარებს მათ შესაბამის სამიზნე ნიშნულებს. სემესტრულად ახორციელებს სტუდენტების ნებაყოფლობით გამოკითხვას. ინტერვიუს დროს გამოვკითხეთ ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები, მათ დადასტურეს, რომ ინტენსიურად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში. აქედან გამომდინარე უსდ ინტენსიურად იღებს უკუკავშირის სტუდენტებისგან, პროგრამის და პროცესის გაუმჯობესებისთვის.</p> <p>მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად იღებენ უკუკავშირის მათი შეფასების შესახებ, და როგორც უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს მათ აქვთ პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის სტუდენტების ელექტრონულ კითხვარებს. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს ანგარიშს ხარისხის მართვის სამსახურს.</p> <p>ხარისხის შეფასების სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად უსდ-ს აქვს შემუშავებული „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“ და „კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა“, თუმცა ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მექანიზმის მეტად ეფექტიანად უნდა მოხდეს გამოყენება და პერსონალის სამეცნიერო კვლევებში პერსონალის განვითარების მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესება.</p> <p>ამგვარად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები უმეტესწილად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პერსონალის შეფასების ფორმა ○ სტუდენტების გამოკითხვის ფორმა ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ○ დაინტერესებული მხარეების კვლევა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, შრომის ბაზრის) ○ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მერაბ ხოხობაია



სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით ქარცივაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკა გიგაური

